თებერვალი 2023

საზოგადოების განწყობა საქართველოში

2022 წლის დეკემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები

ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

კვლევის მიზანი

- ხელი შეუწყოს საქართველოში მოქალაქეების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა და მმართველობის განვითარებას;

- დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გამოავლინონ და გადაჭრან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული დონის პრობლემები: ეკონომიკა, სიღარიბე, ინსტიტუტები, საგარეო პოლიტიკა.

დეკემბრის კვლევა

- **საველე სამუშაოების პერიოდი : 3-20 დეკემბერი, 2022**
- **2,519 დასრულებული ინტერვიუ (29% გამოპასუხება)**
- **საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 1.6%**
- შენიშვნა: ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა პასუხის მიხედვით;
- კვლევა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით.

შენიშვნა: 2022 წლის მარტის, თებერვლის, 2021 წლის დეკემბრის, ივლისის, თებერვლის, 2020 წლის აგვისტოს და დეკემბრის გამოკითხვები ჩატარდა ტელეფონის საშუალებით.

შერჩევა

- წარმომადგენლობითი შერჩევა ქვეყნის მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). ამასთან, დამატებით წარმომადგენლობითი შერჩევა თბილისში, დიდ ურბანულ დასახლებებში, პატარა ურბანულ დასახლებებში, სოფლის ტიპის დასახლებებში, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში;
- დიდი ზომის ურბანული დასახლებების სტრატა მოიცავს იმ ქალაქებს, რომელთა მოსახლეობა არის 40 ათასი და მეტი. ესენია: ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი, ფოთი, გორი და ქუთაისი;
- მცირე ზომის ურბანული დასახლებების სტრატა მოიცავს ყველა დანარჩენ ქალაქსა და დაბას, რომელსაც აქვს ურბანული სტატუსი;
- ეთნიკური უმცირესობების სტრატა მოიცავს იმ დასახლებებს, სადაც ეთნიკური უმცირესობების (ძირითადად სომხური და აზერბაიჯანული) ხვედრითი წილი 40 პროცენტზე მეტია. ეს დასახლებები მდებარეობს ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში.

მეთოდოლოგია

- NDI და CRRC კვლევაში იყენებს სტრატიფიცირებული და კლასტერული შერჩევის მეთოდს:
- სტრატიფიცირება – მოსახლეობის დაყოფა შედარებით ჰომოგენურ ჯგუფებად
- კლასტერინგი – თითოეული ჯგუფიდან (სტრატა) პატარა გეოგრაფიული არეალების შემთხვევითი შერჩევა
- შინამეურნეობის შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით
- რესპონდენტების შერჩევა მოხდა კიშის ცხრილის გამოყენებით
- არ ხდება შემთხვევით შერჩეული შინამეურნეობის ან პიროვნების ჩანაცვლება
- ყველა ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, 18+ ასაკის მოსახლეობასთან, სამიდან რომელიმე ენაზე: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული.

ხარისხის კონტროლი

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს

ძირითადი მიგნებები

- ევროკავშირის მხარდაჭერა 81 პროცენტამდე გაიზარდა, რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს მოქალაქეები ევროინტეგრაციის ერთგულნი რჩებიან. თუმცა ასეთი მისწრაფებების მიუხედავად, მოსახლეობის უმრავლესობისთვის საქართველოს მთავრობა არაფერს აკეთებს ან საკმარისს არ აკეთებს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

- მსგავსი ტენდენციაა ნატოსთან მიმართებაშიც - მოსახლეობის უმრავლესობა (73 პროცენტი) საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში წევრობას კვლავ უჭერს მხარს.

- არსებული ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად ფასების ზრდა/ინფლაცია, უმუშევრობა, სიღარიბე და დაბალი ხელფასები აწუხებს - სხვა გამოწვევები ახლოსაც ვერ მოდის ამ ჩამონათვალთან. ყოველი მეორე მოქალაქე მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაშია, თუმცა უმრავლესობას (51 პროცენტი) ეჭვი ეპარება, რომ საქართველოს მთავრობას ეკონომიკური პრობლემების მოგვარება შეუძლია.

ძირითადი მიგნებები

- ყოველი მეხუთე მოქალაქე მომდევნო 12 თვის მანძილზე საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლაზე ფიქრობს. წასვლის მსურველთა რიცხვი განსაკუთრებით მაღალია 50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში: მათგან თითქმის ყოველი მესამე ემიგრაციაში წასვლას განიხილავს.

- მთავრობის საქმიანობის დადებითი შეფასების 10 პროცენტიანი ზრდის მიუხედავად (41 პროცენტიდან 51 პროცენტამდე), მმართველი და ოპოზიციური პარტიების მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა. მოქალაქეების 61 პროცენტი ამბობს, რომ საქართველოში არსებული არცერთი პარტია მათ ინტერესებს არ წარმოადგენს, რაც 2022 წლის ზაფხულის მერე ხუთ პროცენტიანი ზრდაა. მეტიც, “ქართული ოცნების” მხარდამჭერების მესამედი და ოპოზიციის მხარდამჭერთა ნახევარი ამბობს, რომ მათ ინტერესებს არცერთი პარტია არ ემსახურება.

თავი I

- ქვეყნის განვითარების მიმართულება
- უსაფრთხოების განცდა
- მომავალი და ოპტიმიზმი

მოსახლეობის უმეტესობისთვის საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q9)



წინა კვლევასთან შედარებით, 14 პროცენტით გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება.

ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით ყველაზე კრიტიკულად კვლავ თბილისის მაცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები არიან განწყობილნი.

ქვეყნის მიმართულების დადებითი შეფასება ყველაზე მეტად ქართული ოცნების მხარდამჭერებში გაიზარდა

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q9)

ვინც ფიქრობს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება



ქვეყნის მიმართულების დადებითი შეფასება, საშუალოდ 10 პროცენტით, თითქმის ყველა დემოგრაფიულ ჯგუფში გაიზარდა.

უმეტესობა ამბობს, რომ საქართველოში თავს დაცულად გრძნობს

ყველაფრის გათვალისწინებით, რამდენად დაცულად ან დაუცველად გრძნობთ თავს საქართველოში?(q2)



თავს ყველაზე ნაკლებად დაცულად - თბილისის მცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები, ხოლო ყველაზე მეტად დაცულად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ქართული ოცნების მხარდამჭერები და კაცები გრძნობენ.

საქართველოს მოქალაქეები თავს დაუცველად, ძირითადად, ეკონომიკური საკითხების გამო გრძნობენ

რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q3) – 34%-დან ვინც თქვა, რომ საქართველოში თავს დაუცველად გრძნობს



ყოველი მესამე მოქალაქე თავს დაუცველად ეკონომიკური მიზეზების გამო გრძნობს

რა არის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც საქართველოში თავს დაუცველად გრძნობთ? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა (q3)

ოთხი მთავარი მიზეზი – 34%-დან, ვინც დაუცველად გრძნობს თავს საქართველოში



მათგან ვინც თავს დაუცველად გრძნობს, 55+ ასაკის მოქალაქეები ამის მიზეზად - სიღარიბეს, ხოლო ახალგაზრდების უმეტესობა კრიმინალს ასახელებს.

მათგან ვინც თავს დაუცველად გრძნობს, უმცირესობათა დასახლებებში ამის მიზეზად სამუშაო ადგილების ნაკლებობას ასახელებენ.

უმეტესობა ქვეყნის მომავალს ოპტიმისტურად უყურებს, თუმცა წინა წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირებულია

ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით ყველაზე ოპტიმისტურად ქართული ოცნების მხარდამჭერები და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანები არიან.

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ჩემი ქვეყნის მომავლის მიმართ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი (q1)



თავი II

- ეროვნული გამოწვევები/პრიორიტეტები
- განათლება

ფასების ზრდა, სამუშაო ადგილები და სიღარიბე კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება

ბარათზე ჩამოთვლილთაგან რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q10)



პირველად NDI საქართველოს კვლევების ისტორიაში, ფასების ზრდა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა.

ფასების ზრდა, სამუშაო ადგილები და სიღარიბე კვლავ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება

რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q10) ტოპ 5 საკითხი



დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, ეთნიკურ უმცირესობებში ტერიტორიული მთლიანობა მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს შორის არ სახელდება.

განათლების დაბალი ხარისხი, სწავლის მაღალი საფასური და მასწავლებლების/ლექტორების დაბალი კვალიფიკაცია განათლების სფეროს მთავად გამოწვევებად დასახელდა

რა არის ამჟამად საქართველოში განათლების სისტემის წინაშე მდგარი სამი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q11) ნაწილი 1



განათლების ხარისხთან დაკავშირებით ყველაზე მეტად თბილისელები, ქალები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, დასაქმებულები და ოპოზიციის მხარდამჭერები წუხან

რა არის ამჟამად საქართველოში განათლების სისტემის წინაშე მდგარი სამი ყველაზე დიდი პრობლემა? (q11) ტოპ 3 პრობლემა



თავი III

- საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა; უმუშევრობა;
- მთავრობის ეკონომიკური სტრატეგიის შეფასება;
- ემიგრაცია;
- შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება; ყოველთვიური ხარჯები;
- ფასების მომატება;
- საკუთრების ფორმები;
- სტატისტიკური ანალიზი: შინამეურნოების კეთილდღეობის სკალა.

მოქალაქეთა უმეტესობა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას ცუდად აფასებს

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ ქვეყნის ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაშია („ცუდი“ შეფასების მაჩვენებელი 55 პროცენტიდან 48-მდე შემცირდა).

ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, შეაფასოთ საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა. (q17)



საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას ყველაზე კრიტიკულად თბილისელები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტელი ამომრჩევლები აფასებენ

ეკონომიკის მდგომარეობის ნეგატიური შეფასება სოფლის ტიპის დასახლებებში, ეთნიკურ უმცირესობებში, 55+ ასაკის მოსახლეობასა და გადაუწყვეტელ ამომრჩევლებში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, შეაფასოთ საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა. (q17)

ვინც, საქართველოს ეკონომიკას ცუდად აფასებს



ეკონომიკის მთავარ გამოწვევებად უმუშევრობა, ფასების ზრდა და დაბალი ხელფასები დასახელდა

თქვენი აზრით, რა არის ამჟამად საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა? მაქსიმუმ სამი პასუხი. (q18)



ყოველი მეხუთე მოქალაქე უმუშევარია

ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია. (q44)

"სხვა" მოიცავს: პენსიონერი და არ მუშაობს, დიასახლისი და არ მუშაობს, სტუდენტი და არ მუშაობს, შშმ პირი და არ შეუძლია მუშაობა



ურბანული დასახლებების მაცხოვრებელთა უმრავლესობა დასაქმებულია.

ქალების უმეტესობა ამბობს, რომ დაუსაქმებელი ან დიასახლისია.

უმუშევართა უმრავლესობა ამბობს, რომ სამსახურს ან საერთოდ ვერ პოულობს ან შესაფერისი ანაზღაურებით

ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? (q45) – 20% –დან ვინც თქვა, რომ დაუსაქმებელია



სოფლის ტიპისა და ეთნიკურ უმცირესობათა დასახლებებში უმუშევრების უმრავლესობა ამბობს, რომ ვერ პოულობს ვერანაირ სამსახურს.

უმრავლესობას ეჭვი ეპარება, რომ მთავრობა ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას შეძლებს

რამდენად დარწმუნებული ხართ ან არ ხართ დარწმუნებული, რომ საქართველოს მთავრობა შეძლებს ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავებას? (q19)

თბილისის მცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები ყველაზე კრიტიკულად არიან განწყობილნი.

უმრავლესობა მათი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას ცუდად ან დამაკმაყოფილებლად აფასებს

ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ შეაფასებთ თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას? (q20)



პატარა ქალაქებში, სოფლის ტიპისა და უმცირესობათა დასახლებებში, დიდ ქალაქებთან შედარებით, თავიანთი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას მეტი ადამიანი აფასებს ცუდად.

მოქალაქეთა შეფასებით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე გაზრდილია შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი

გასულ თვეში თქვენი ოჯახის ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ამ ბარათზე მოყვანილ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თქვენი ოჯახის (შინამეურნეობის) შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყველა წყარო, რაც თქვენი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა გასულ თვეში. (q47)



უმრავლესობა ამბობს, რომ ახლა იგივე ან ნაკლები ფინანსური შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ხუთი წლის წინ

თქვენს ამჟამინდელ მდგომარეობაზე თუ დაფიქრდებით, 5 წლის წინანდელთან შედარებით, ახლა უფრო მეტი, იგივე თუ ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები გაქვთ? (q21)



თბილისში მცხოვრებლები, ოპოზიციის მხარდამჭერები და გადაუწყვეტელი ამომრჩეველი უფრო მეტად ამბობენ, რომ 5 წლის წინანდელთან შედარებით ახლა ნაკლები ფინანსური შესაძლებლობები აქვთ.

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ფასების მომატებაზე წუხს

რამდენად გაწუხებთ ან არ გაწუხებთ გაზრდილი ფასების გავლენა თქვენი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზე? (q25)



საზოგადოების აზრი გაყოფილია იმის შესახებ, თუ ვისი ბრალია ფასების ზრდა

როგორ ფიქრობთ, ფასების ზრდა უფრო მეტად საქართველოს მთავრობის პოლიტიკის შედეგია, თუ უფრო მეტად ისეთი ფაქტორების, რომელიც საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმაა? (q26)



პასუხები განსხვავდება პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით: ოპოზიციის მხარდამჭერთა უმრავლესობა მთავრობას ადანაშაულებს, ხოლო ქართული ოცნების მხარდამჭერთა უმრავლესობა - მთავრობის კონტროლს მიღმა არსებულ ფაქტორებს.

ყოველ მეხუთე ოჯახს საჭმლის სამყოფი ფული არ აქვს

ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან, რა უფრო კარგად აღწერს თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას? (q24)



ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, პატარა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებთ და 55+ ასაკის მოქალაქეებს ყველაზე მეტად უჭირთ. პოლიტიკური სიმპატიების მიხედვით განსხვავებები არ გამოიკვეთა.

ყოველი მეორე ამბობს, რომ ბოლო 6 თვის მანძილზე ყოფილა შემთხვევა, როცა კომუნალურის გადასახდელად საკმარისი ფული არ ჰქონია

ბოლო 6 თვის მანძილზე, ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ არ გქონდათ საკმარისი ფული კომუნალური გადასახადების დასაფარად? (q23)



მოქალაქეთა უმრავლესობა ოჯახის შემოსავალს, ძირითადად, საკვებზე, კომუნალურ გადასახადებზე, წამლებსა და სესხებზე ხარჯავს

რა არის თქვენი ოჯახის ყველაზე დიდი ხარჯები ყოველთვიურად? მაქსიმუმ სამი პასუხი (q22)



ყოველი მესამე ამბობს, რომ წინა წელთან შედარებით საჭმელსა და წამლებზე ნაკლებს ხარჯავს

ყოველი მეორე ამბობს, რომ ფინანსურ პრობლემებთან გამკლავების მიზნით, გაზისა და ელ. ენერგიის მოხმარება შეზღუდა.

სოფლის მოსახლეობის, ასევე 55+ ასაკის მოქალაქეების უმრავლესობამ გაზისა და ელ. ენერგიის მოხმარება შეზღუდა.

არსებობს ოჯახები, რომლებიც ბოლო პერიოდში ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. გთხოვთ, მითხრათ თითოეული ჩამოთვლილი შეგესაბამებათ თუ არა თქვენ და თქვენს ოჯახს?(q27) ნაწილი 2

ფინანსური სირთულეების გამო, მოსახლეობის უმრავლესობამ დასვენებისა და შოპინგის ხარჯები შეამცირა

არსებობს ოჯახები, რომლებიც ბოლო პერიოდში ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. გთხოვთ, მითხრათ თითოეული ჩამოთვლილი შეგესაბამებათ თუ არა თქვენ და თქვენს ოჯახს? (q27) ნაწილი 1

უმრავლესობის აზრით, მათ ოჯახს კომფორტული ცხოვრებისთვის ყოველთიურად 3000 ლარამდე შემოსავალი ეყოფოდა

თვეში რამდენი ლარი იქნებოდა საკმარისი თქვენი ოჯახისთვის, რომ კომფორტულად იცხოვროთ? ღია კითხვა. (q28)



თბილისელები, ახალგაზრდები, უმაღლესი განათლების მქონე და დასაქმებული ადამიანები უფრო მეტად ამბობენ, რომ კომფორტულად ცხოვრებისთვის თვეში 3000 ლარზე მეტი სჭირდებათ

თვეში რამდენი ლარი იქნებოდა საკმარისი თქვენი ოჯახისთვის, რომ კომფორტულად იცხოვროთ? ღია კითხვა (q28)



უმრავლესობის აზრით, მათ ოჯახს კომფორტული ცხოვრებისთვის ყოველთიურად 3000 ლარამდე შემოსავალი ეყოფოდა

თვეში რამდენი ლარი იქნებოდა საკმარისი თქვენი ოჯახისთვის, რომ კომფორტულად იცხოვროთ? ღია კითხვა – გასულ თვეში თქვენი ოჯახის ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ამ ბარათზე მოყვანილ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თქვენი ოჯახის (შინამეურნეობის) შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყველა წყარო, რაც თქვენი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა გასულ თვეში. (q28 X q47)



საქართველოს ყოველი მეხუთე მოქალაქე ემიგრაციაში წასვლაზე ფიქრობს

რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში თქვენ სამუშაოდ საზღვარგარეთ წახვალთ? (q46)



თბილისის, დიდი ქალაქებისა და უმცირესობათა დასახლებების მცხოვრებთა მეოთხედს, ასევე, ახალგაზრდების მესამედს ემიგრაციაში წასვლა სურს

ქვეყნის დატოვებაზე კაცები უფრო ფიქრობენ ვიდრე ქალები. ქართული ოცნების მხარდამჭერებთან შედარებით, ოდნავ მეტი ოპოზიციის მხარდამჭერი ამბობს, რომ ქვეყნის დატოვებაზე ფიქრობს.

რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ მომდევნო 12 თვის განმავლობაში თქვენ სამუშაოდ საზღვარგარეთ წახვალთ? (q46 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



უმრავლესობა თავის ან ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრობს

თქვენი ოჯახის ამჟამინდელ საცხოვრებელ მდგომარეობაზე თუ ვისაუბრებთ, ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, რომელი აღწერს თქვენს მდგომარეობას ყველაზე კარგად? თქვენ ცხოვრობთ ... (q29)



თბილისის ყოველი მეოთხე მცხოვრები ბინას ქირაობს.

იმ 9 პროცენტიდან, ვინც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, ნახევარმა თქვა, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე ქირა გაუძვირდა. ასევე, მათი ნახევარი შიშობს, რომ მომავალში ქირის გადახდას ვერ შეძლებს.

ბინის მესაკუთრეები ქონების დაკარგვაზე არ ღელავენ

ღელავთ თუ არა მომდევნო რამდენიმე წელში თქვენი ბინის/სახლის შესაძლო დაკარგვაზე? (q30) – 87%-დან ვინც თქვა, რომ მათი ან მათი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებულ სახლში/ბინაში ცხოვრობს.



ისინი, ვინც ბინის/სახლის შესაძლო დაკარგვაზე ღელავენ, მიზეზად იპოთეკის გადაუხდელობას ან ფინანსური პრობლემების გამო ბინის გაყიდვის საჭიროებას ასახელებენ.

თავი IV

➔ საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხები

ყოველი მესამე მოქალაქე ავტოსატრანსპორტო შემთხვევებსა და სახლის გაძარცვის რისკებზე ღელავს

რამდენად ხშირად ღელავთ, რომ ...? (q35) ნაწილი 1



უმრავლესობა არ ღელავს ქუჩაში გაქურდვის, ფიზიკური ზიანის მიყენების, პირადი ან ფინანსური ინფორმაციის მოპარვის ან სექსუალური შევიწროების საფრთხეებზე

რამდენად ხშირად ღელავთ, რომ ...? (q35) ნაწილი 2



თბილისი გამორჩეულია!

თბილისში ყოველი მეორე ადამიანი ავტოსაგზაო შემთხვევისა და სახლის გაქურდვის საფრთხეებზე ღელავს



თბილისში ყოველი მეორე ადამიანი ქუჩაში გაქურდვისა და პერსონალური/ ფინანსური ინფორმაციის მოპარვის საფრთხეებზე ღელავს

რამდენად ხშირად ღელავთ, რომ...? (q35) მხოლოდ თბილისი ნაწილი 2



მოსახლეობის მეოთხედი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q34)



უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ იცის, როგორ მოიქცეს საგანგებო სიტუაციების დროს.

თბილისელების თითქმის 40 პროცენტი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავს დაუცველად გრძნობს.

განსაკუთრებით ქალები!

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q34) მხოლოდ თბილისი

თბილისში ყოველი მეორე ქალი საზ. თავშეყრის ადგილებში თავს დაუცველად გრძნობს

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს: (q34 X სქესის მიხედვით) მხოლოდ თბილისი



თავი V

- მთავრობის, პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის და პარლამენტის საქმიანობის შეფასება
- პოლიტიკური პარტიების შეფასება
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

გასული წლის შემდეგ, მთავრობის საქმიანობის დადებითი შეფასება ათი პროცენტით გაიზარდა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q4)



მთავრობის საქმიანობის შეფასება შედარებით დაბალია თბილისში, ქალებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს შორის.

მთავრობის საქმიანობის დადებითი შეფასება ყველაზე მეტად გადაუწყვეტელ ამომრჩეველში, პატარა ქალაქებსა და სოფლებში, ასევე საშუალო ასაკის ჯგუფში გაიზარდა

როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q4)

ვინც, არსებული მთავრობის საქმიანობას კარგად აფასებს



მთავრობის შეფასების დადებითი მაჩვენებელი ოპოზიციის მხარდამჭერებში შვიდი პროცენტით გაიზარდა.

პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის საქმიანობის უარყოფითი შეფასებები 8–10 პროცენტით შემცირდა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას? (q6)



პრემიერის საქმიანობის შეფასება შედარებით დაბალია თბილისში და ოპოზიციის მხარდამჭერებში

როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას? (q6_3 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



პრეზიდენტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება შედარებით დაბალია ოპოზიციის მხარდამჭერებში

როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საქმიანობას? (q6_2 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



პარლამენტს ყველაზე კრიტიკულად თბილისსა და დიდ ქალაქებში, ასევე ოპოზიციის მხარდამჭერებში აფასებენ

როგორ შეაფასებდით პარლამენტის საქმიანობას? (q6_1 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



წინა კვლევასთან შედარებით, ახლა კიდევ უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ საქართველოში არცერთი პარტია არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს



ქართული ოცნების მხარდამჭერთა მესამედი და ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ არცერთი პარტია არ გამოხატავს მათ ინტერესებს

არსებობს თუ არა საქართველოში ერთი პარტია მაინც, რომელიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს? (q5 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



პარტიებისადმი მიკუთვნებულობის განცდა შედარებით უფრო მაღალია 55+ ასაკის მოსახლეობასა და სოფლის ტიპის დასახლებებში.

მოქალაქეთა წილი, ვინც ფიქრობს, რომ მათ ინტერესებს ერთი პარტია მაინც წარმოადგენს განსაკუთრებით შემცირდა უმცირესობათა დასახლებებში, დიდ ქალაქებში, 35–54 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ოპოზიციის მხარდამჭერებსა და გადაუწყვეტელ ამომრჩევლებში

თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში ერთი პარტია მაინც, რომელიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს? (q5)

ვინც, ფიქრობს რომ ასეთი ერთი პარტია მაინც არსებობს



უმეტესობა კვლავ პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q7)



მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

შენიშვნა – კითხვა დაისვა თვით-ადმინისტრირების მეთოდით: რესპონდენტს გადაეცა პლანშეტი 14 პარტიის ჩამონათვალით, რესპონდენტმა თავად მონიშნა სასურველი პოლიტიკური პარტია, შემდეგ დააჭირა ღილაკს 'შემდეგი' და დაუბრუნა ტაბლეტი ინტერვიუერს.

უმეტესობა კვლავ პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q7)



მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

შენიშვნა – კითხვა დაისვა თვით-ადმინისტრირების მეთოდით: რესპონდენტს გადაეცა პლანშეტი 14 პარტიის ჩამონათვალით, რესპონდენტმა თავად მონიშნა სასურველი პოლიტიკური პარტია, შემდეგ დააჭირა ღილაკს 'შემდეგი' და დაუბრუნა ტაბლეტი ინტერვიუერს.

თბილისსა და დიდ ქალაქებთან შედარებით, ქართული ოცნების მხარდაჭერა შედარებით მაღალია სოფლის ტიპის დასახლებებსა და პატარა ქალაქებში

„სხვა“ ოპოზიციურ პარტიებს შედარებით მაღალი მხარდაჭერა აქვთ თბილისში.

პატარა ქალაქებისა და უმცირესობათა დასახლებების თითქმის მესამედი უარს ამბობს პოლიტიკური პარტიების შესახებ კითხვაზე პასუხს.

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q7 X დასახლების მიხედვით)



მოქალაქეები უფრო მეტად უჭერენ მხარს საპარლამენტო ცხოვრებაში ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას

თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა ქალი და კაცი პარლამენტარების საუკეთესო გადანაწილება პარლამენტში? (q8)



პარლამენტში 50-50-ზე გენდერულ გადანაწილებას ყველაზე მეტად პატარა ქალაქებსა და თბილისში, ასევე ქალები და ახალგაზრდები უჭერენ მხარს.

თავი VI

- ➔ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება
- ➔ საქართველოს ევროინტეგრაციის პროგრესის შეფასება
- ➔ ევროინტეგრაცის კუთხით მთავრობის საქმიანობის შეფასება

ნატოს მხარდაჭერა სტაბილურად მაღალია



ნატოს მხარდაჭერა ყველაზე დაბალი ეთნიკურ უმცირესობებშია – „არ ვიცი“ პასუხების ხარჯზე

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი? (q15 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ევროკავშირის მხარდაჭერა გაიზარდა და ჩვეულ ნიშნულს დაუბრუნდა

ეს საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ევროკავშირში გაწევრიანების ურყევ მხარდაჭერაზე მიუთითებს

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q12)



ევროკავშირის მხარდაჭერა ყველაზე დაბალი ეთნიკურ უმცირესობებშია – „არ ვიცი“ პასუხების ხარჯზე

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q12 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



ევროკავშირში გაწევრიანების სასარგებლოდ ყველაზე დიდი პოზიტიური გარდატეხა უმცირესობათა დასახლებებში და ქართული ოცნების ამომრჩევლებში მოხდა

მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q12)

მათგან, ვისთვისაც მისაღებია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება



მოსაზრებები გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, დაშორდა თუ დაუახლოვდა საქართველო ევროკავშირს

ქართული ოცნების მხარდამჭერებს უფრო მეტად მიაჩნიათ, რომ საქართველო ევროკავშირს დაუახლოვდა.

ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან, რომელს ეთანხმებით? ბოლო ხუთი წლის მანძილზე ... (q14)



უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობა საკმარისს არ აკეთებს ან არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანდეს

ამ ბარათზე მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q13)



თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების მოსახლეობა, ასევე ოპოზიციის მხარდამჭერები ფიქრობენ, რომ მთავრობა საკმარისს არ აკეთებს ან არაფერს აკეთებს, რათა საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს

ქართული ოცნების მხარდამჭერთა მესამედი ფიქრობს, რომ ქართული ოცნების მთავრობა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის საკმარისს არ აკეთებს.

ამ ბარათზე მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q13 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



თავი VII

- → რუსეთის შეჭრა უკრაინაში
- → რუსების იმიგრაციის გავლენა საქართველოზე
- → სახელმწიფო პოლიტიკა რუსი მოქალაქეების მიმართ
- → სავიზო რეჟიმის შემოღება რუსეთის მოქალაქეებისთვის
- → დამოკიდებულება რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ

უკრაინაში ომს სულ უფრო ნაკლები ადამიანი აბრალებს რუსეთს, მაშინ როცა იზრდება მათი რიცხვი, ვინც ბრალს სახელდობრ პუტინს სდებს

თქვენი აზრით, ვისი ბრალია უკრაინაში ომი? მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა. (q16)



სხვებთან შედარებით, თბილისელები რუსეთს უფრო მეტად აბრალებენ უკრაინაში ომს

თქვენი აზრით, ვისი ბრალია უკრაინაში ომი.მაქსიმუმ სამი პასუხი. ღია კითხვა. (q16) ტოპ 3 პასუხი



ეთნიკური უმცირესობების მეოთხედი ამბობს, რომ უკრაინაში ომი აშშ-ს ბრალია.

უმრავლესობის აზრით, საქართველოში რუსების იმიგრაციას, შესაძლოა, ქვეყანაზე უარყოფითი გავლენა ჰქონდეს

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, საქართველოში რუსეთის ბევრი მოქალაქე შემოვიდა. თქვენი აზრით, რა სახის გავლენა შეიძლება იქონიოს ამან საქართველოზე? (q36)



ეთნიკური უმცირესობები არ არიან დარწმუნებულნი რას უნდა ელოდონ რუსების იმიგრაციისგან

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, საქართველოში რუსეთის ბევრი მოქალაქე შემოვიდა. თქვენი აზრით, რა სახის გავლენა შეიძლება იქონიოს ამან საქართველოზე? (q36 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



უმრავლესობისთვის რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიდგომა მიუღებელია

მისაღებია თუ არა თქვენთვის საქართველოს ხელისუფლების მიდგომა საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასთან დაკავშირებით? (q37)



რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასთან დაკავშირებით სახელწმიფო პოლიტიკას ყველაზე კრიტიკულად თბილისის მოსახლეობა, ქალები და ოპოზიციის მხარდამჭერები აფასებენ

მისაღებია თუ არა თქვენთვის საქართველოს ხელისუფლების მიდგომა საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლასთან დაკავშირებით? (q37 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



უმრავლესობა მხარს უჭერს რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის დაწერებას

ამჟამად რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ. თქვენი აზრით, უნდა შემოიღოს თუ არა საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის? (q38)



სავიზო რეჟიმის მხარდაჭერა კიდევ უფრო მაღალია თბილისში, 18–34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ქალებსა და ოპოზიციის მხარდამჭრებში

ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში მოქალაქეებს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოკვეთილი პოზიცია არ აქვთ.

ამჟამად რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ. თქვენი აზრით, უნდა შემოიღოს თუ არა საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის? (q38 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის მთავრობის მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ

საერთო ჯამში, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთის მთავრობის მიმართ? (q39)



რუსეთის მთავრობის მიმართ ყველაზე დადებითი დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში აქვთ



რუსეთის მთავრობისგან განსხვავებით, მოსახლეობის უმრავლესობა რუსი ხალხის მიმართ დადებითად არის განწყობილი



რუსი ხალხის მიმართ ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ: თბილისის მოსახლეობას, 18-34 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს, ქალებს და ოპოზიციის მხარდამჭერებს

საერთო ჯამში, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსი ხალხის მიმართ? (q40 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



რომ შევაჯამოთ: საქართველოს მოსახლეობა ფიქრობს, რომ რუსეთის მთავრობა და ხალხი ერთი არ არის



კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

- ➔ WWW.NDI.ORG/GEORGIA-POLLS
- ➔ WW.CAUCASUSBAROMETER.ORG